

**ფსენ - პირსაქეტიული კაქლოვანი კულტურა  
ზონად ბოზოქაშილი**

გვ. 28



**ზეთისხილის კულტურის მნიშვნელობა და გამოყენების  
პოტენციური სექტორები  
ილია მადლაძე**

გვ. 33



**ბროილერის მისილის გამოზრდა და  
ამერიკის მკვასელი, ავთანდილ ჩაბალიაშვილი,  
მედიკ სუნიშვილი**

გვ. 40



# ბაზისბანკის სერვისსენდერები რეგიონში



**ბაზისბანკი**  
**BASISBANK**

კუალინგ ჯგუფის წევრი

☎ 2 922 922

[www.basisbank.ge](http://www.basisbank.ge)

დისტანციური  
მომსახურება



<https://www.bankonline.ge/>

Search

WWW



ბაზისბანკი  
**BASISBANK**

კუალინგ ჯგუფის წევრი



2 922 922

[www.basisbank.ge](http://www.basisbank.ge)

ზეთისხილის კულტურის მნიშვნელობა და გამოყენების  
კოთხედიანი საერთოვლოში  
ელენე მაღლაკელიძე



**კულტურის მნიშვნელობა**

ზეთისხილი არის მრავალმხრივი გამოყენების, საუკეთესო კვებითი და სამკურნალო ღირებულების, რეალიზაციის მაღალი პოტენციალის მქონე მანადმწვანე მცენარე. იგი წარმოადგენს მრავალი სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების სიმბოლოს.

ნაყოფი ხასიათდება უნიკალური შედგენილობით, იგი შეიცავს 35% მცენარეულ ზეთს. მდიდარია B, E, C, D ვიტამინებით, მიკრო და მაკროელემენტებით – კალიუმით, კალციუმით, მაგნიუმით, რკინით. პროვანსის ზეთი, რომელიც ყველა მცენარეულ ზეთზე მაღალხარისხიანია. მიიღება ზეთისხილის მწიფე ნაყოფების მსუბუქი დაწნებით. იგი უფერულია, აქვს საუკეთესო გემო და არომატი, მდიდარია ვიტამინებით. პროვანსის ზეთს ფართოდ იყენებენ გულის, კანისა და სახსრების დაავადებათა სამკურნალოდ. მისი სისტემატური მოხმარება აუმჯობესებს მხედველობას და ამცირებს ონკოლოგიური დაავადებების რისკს. ნაყოფების ძლიერი ცივი დაწნებით მიიღება ასევე ძვირფასი ზეთი, რომელსაც მომწვანო-მოყვითალო ფერი აქვს. დარჩენილი მასის ცხელი დაწნებით იღებენ უფრო დაბალი ხარისხის ზეთს, რომელიც ზეთუნის ზეთის

სახელით არის ცნობილი და ფართოდ გამოიყენება კოსმეტიკაში. დარჩენილი ნაყოფის მასა კარგი საკვებია ცხოველებისთვის.

ზეთისხილის ნაყოფი სასარგებლო და გემრიელი საკვები პროდუქტია. როგორც მწიფე, ასევე დაუმწიფებელი ნაყოფებისგან მზადდება საუკეთესო მწიღეები, მარინადები და კონსერვები. ზეთისხილი ძვირფასი დეკორატიული მცენარეა. ხის მერქანი გამოიყენება სადურგლო და სახარატო წარმოებაში.

**წარმოშობა და გავრცელება**

ზეთისხილი ერთ-ერთი უძველესი მცენარეა დედამიწაზე, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი რელიგიურ ლიტერატურაში. მას ხეთა ხეს უწოდებენ. ახ.წ.-მდე 3500 წლის წინ წინასწარმეტყველმა მოსემ ისრაელი აღწერა როგორც მაღლიანი, ზეთისხილის ქვეყანა. ზეთისხილის კრონებით დღესაც მოფენილია ისრაელის მთელი ლანდშაფტი. ისინი ამკობენ შარონის დაბლობებს, სამარიის კლდოვან ფერდობებსა და გალილეის ნაყოფიერ მინდვრებს. წმინდა წერილში ზეთისხილი რამდენჯერმე არის მოხსენი-



ებული. მიბლიური გადმოცემით წარღვნის დასრულება ნოეს მტრედის მიერ მოტანილი ზეთისხილის რტოთი ეუწყა. რაც შეეხება ამ მცენარის ქრისტიანულ სიმბოლოვას, როგორც წმინდა წერილიდან ვიცით, მაცხოვრის გზა იერუსალიმისკენ სიმბოლურად გადის ზეთისხილის, ანუ ელეონის მთაზე. იერუსალიმში დიდებით შესულ მაცხოვრის ხალხი ფეხქვეშ სწორედ მზისა და ზეთისხილის რტოებს უფენდა, რაც ღვთისადმი დიდი პატივისცემის გამოხატულება იყო.

ზეთისხილის ხე ფართოდ არის გავრცელებული ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, სადაც თავმოყრილია კორომები, რომელთა უმრავლესობაც ჯერ კიდევ ახ. წ.-მდე არის გაშენებული. ზეთისხილით განსაკუთრებით განთქმულია საბერძნეთი, რომელიც ამ კულტურის სამშობლოდ ითვლება. სწორედ ზეთისხილის რტოებისგან დამზადებული გვირგვინით ამკობდნენ ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულებს, მეფეებსა და ფარაონებს კი კურთხევის დროს შუბლზე სცხებდნენ ზეთისხილის ზეთს. დღეს ზეთისხილი მოჰყავთ იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, თურქეთში, ტუნისში, აშშ-ში, ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და წყნარი ოკეანის ზოგიერთ კუნძულზე. საქართველოში ეს მცენარე რამდენიმე ასეული წლის წინ იყო ცნობილი. ურთას მთაზე დაფნის ნარგავებთან ერთად გავრცელებულია ზეთისხილის ხეები. ასევე ცალკეული მცენარეები გვხვდება ბაღდადში, ჩოხატაურში, სენაკში, ხობში, თერჯოლაში, ახალ ათონში, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში. დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული ართვინის ოლქში (თურქეთი).

ზეთისხილის 300-ზე მეტი ჯიშია ცნობილი. მათ შორის 10% ქართული წარმოშობისაა. ჩვენში ფართოდ იყო გავრცელებული ადგილობრივი ჯიშები: „ოთური“, „ბუტკო“ (საკონსერვო მიმართულების) „გორვალა“ (საზეთე მიმართულების) და სხვ. მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობდა ზეთისხილის გაშენება. ყოველწლიურად იკრიფებოდა 60-78 ტონა ნაყოფი, რომლისგანაც მზადდებოდა კონსერვები, მარინადები, ხდიდდნენ ზეთუნის ზეთს. თბილისში, სოლოლაკის ქედზე, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, უხვად გვხვდებოდა ჯიშ „თბილისური“, რომელიც ახლა მხოლოდ აფხაზეთშია შემორჩენილი. 1927 წლის შემდეგ საქართველოსთვის ზეთისხილი უცხო კულტურად იქცა. მისი წარმოება, სახელმწიფოს ცენტრალიზებული მართვის

მიხედვით, დაევალით აზერბაიჯანისა და თურქმენეთის რესპუბლიკებს, საქართველოში კი დაიწყო სხვა კულტურების გაშენება. კერძოდ, დასავლეთ საქართველოში ჩაისა და ციტრუსების, აღმოსავლეთ საქართველოში – ვაშლისა და ვაზის.

უკანასკნელ ხანებში, პატრიარქისა და ქართული დიასპორის თანადგომით, ზეთისხილის კულტურა კვლავ დაუბრუნდა საქართველოს. ამ კულტურის აღორძინებაზე ზრუნვა 7 წლის წინ დაიწყო კომპანიებმა „ქართული ზეთისხილი“ და „ჯეოლივი“. მათ 300 ჰექტარზე (250 ათასი ზეთისხილის ნერგი) გააშენეს პლანტაცია. სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში ჰოლანდიურ-თურქული ინვესტიციით გაიხსნა ზეთისხილის საწარმო.

საქართველოში ზეთისხილის კულტურის წარმოებას კარგი პერსპექტივა აქვს. დიდია დაინტერესება ამ უნიკალური მცენარით, რომელიც კარგ შესაძლებლობას ქმნის ხეხილის სორტიმენტის გამრავალფეროვნებისა და ქვეყნის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისთვის. დღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ახალი პლანტაციები, უცხოური, ძირითადად, თურქეთიდან შემოტანილი ნერგით არის გაშენებული. სამწუხაროდ, ძველი ჯიშები აღარ არსებობს, ან ცალკეული ხეების სახით არის შემორჩენილი. ამიტომ უპირველესი ამოცანა და საშური საქმეა ზეთისხილის ჯიშების („თბილისური“, „ახაშენი“, „ბუტკო“ და სხვ.), რომლებიც გამოირჩეოდა კარგი ადაპტაციის უნარითა და რეზისტენტობით, აღდგენა. ამისთვის საჭიროა მოძიებულ იქნეს ჯერ კიდევ შემორჩენილი ჯიშები, შეიქმნას სანერგე მუერუნეობები, გამრავლდეს ქართული ჯიშები და დაინერგოს წარმოებაში.

### ბოტანიკური დახასიათება

ზეთისხილი ეკუთვნის ზეთისხილისებრთა ოჯახს (Oleaceae). ამ ოჯახში 22 გვარი და 400-მდე სახეობაა. ყველაზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კულტურულ ზეთისხილს (Olea Europaea), რომლის წინაპრად ითვლება ოქროფოთოლა ზეთისხილი (Olea chrysophylla). მისი ნაყოფი წვრილია. ფართოდ არის გავრცელებული ველური ზეთისხილიც (Olea Oleaster).

ზეთისხილის მცენარე გამოირჩევა ხანგრძლივი სიცოცხლით. იგი დაახლოებით 400-500 წელი ცოცხლობს.



კულტურული ზეთისხილის ხე მარადმწვანეა, სიმაღლით 5-8 მეტრი, ზოგჯერ 15-22 მეტრსაც აღწევს. ვარჯი უმეტეს შემთხვევაში გადაშლილი, ხშირად ოვალური და არასწორი, უხვად შეფოთლილი აქვს. მსხმოიარობას იწყებს მე-10-12 წელს, ვეგეტატიურად გამრავლებული მე-4-5 წელს. ერთი ხის საშუალო მოსავალი 20-60 კგ-ს აღწევს.

ზეთისხილი ჯვარედინმტვერია მცენარეა. იმტვერება ქანის მეშვეობით (ანემოფილური). ყვავილები ორსქესიანია, პატარა, თეთრი ან მოყვითალო, ფოთლების ილღიაში ცოცხისებრ მტევნებად 15-30 ან 40 ცალის რაოდენობით. ზეთისხილის ყვავილები, ძირითადად, წინა წლის ნაზარდზე ვითარდება. ყვავილობა მიმდინარეობს მაის-ივნისში, როდესაც ჰაერის საშუალო ტემპერატურა 20°C აღემატება. ფოთლები ტყავისებრი, ლანცეტისებრი ფორმის, კიდე მთლიანი, ფოთლის ზედა მხარე რუხი მწვანე ფერისა, ქვედა – მოვერცხლისფერია.

ნაყოფი ოვალური ფორმის, იშვიათად მომრგვალო, ჯერ მწვანე, შემდეგ მოწითალო, ხოლო მომწიფებისას მოლურჯო-შავი შეფერილობით, ხშირად ცვილისებრი



ფიფქით. ნაყოფის მასა 4-15 გრამია. თესლი ოდნავ მოგრძო, ძლიერ სქელი და მკვრივი გარსით, წვეტიანი ბოლოთა.

**მორფოლოგიური და ბიოლოგიური თავისებურებები**

ზეთისხილი მშრალი სუბტროპიკული კლიმატის მცენარეა, მოითხოვს ხანგრძლივ ცხელ ზაფხულსა და ტენიან, გრილ ზამთარს. მისი ცინვაგამძლეობა 17-20°C-ს უდრის. სითბოს მოყვარულია, ვერ ეგუება ჭარბტენიან პირობებს. მოსავლიანობაზე გავლენას ახდენს ასევე ტენიანობის ნაკლებობაც. ზეთისხილი ნორმალურად ვითარდება და მსხმოიარობს იქ, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა 600-700 მმ-ია, უფრო მცირე ნალექების პირობებში აუცილებელია მორწყვა.

საადრეო ჯიშების ნაყოფის მომწიფებისთვის საჭიროა 3500-40000C აქტიური ტემპერატურათა ჯამი, საგვიანო ჯიშებისთვის – 4500-50000C. ყვავილობისა და გამონასკვისთვის ოპტიმალურ ტემპერატურად ითვლება 22-28°C.

სხვა სუბტროპიკული კულტურებისგან განსხვავებით ზეთისხილი ნიადაგის მიმართ ნაკლებმომთხოვნია. კარგად ხარობს თითქმის ყველა ტიპის ნიადაგზე. საუკეთესოა კარგად ღრენიერებული, წყალგამტარი, ფხვიერი და ჰუმუსით მდიდარი ქვეთიხნარი, ქვექვიშნარი ნიადაგები. ზეთისხილი ცუდად ვითარდება და არ მსხმოიარობს მუავე ნიადაგებზე. დასავლეთ საქართველოში ძირითადი მიზეზი ზეთისხილის სუსტი განვითარებისა სწორედ ჭარბი ნალექი და ნიადაგის მუავე რეაქციაა.

**ჯიშები**

**თბილისური.** წარმოშობა უცნობია. გვხვდება ახალ ათონში, სოხუმსა და ყირიმში. ასევე ერთეული ხეების სახით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ხასიათდება მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლეობით. ხე მაღალია – 8-10 მ, ივითარებს განიერ, მომრგვალო, გადაშლილ, კარგად შეფოთლილ ვარჯს. ხასიათდება უხვი და რეგულარული მსხმოიარობით. 1 ხის საშუალო მოსავალი 40 კგ-ს უდრის. ყვავილობს მაისის მეორე ნახევარში. თვითფერტილია.

ნაყოფი საშუალო ზომისაა, მასა 3-5 გ, მომრგვალო-ოვალური ფორმის, სიმეტრიული. ნაყოფის კანი ნაზია, მომწიფების შემდეგ მუქი ფერის, ბზინვარე. მწიფე ნაყოფი შეიცავს 60-72% ზეთს. ნაყოფი მწიფდება ნოემბერში. გამოიყენება საკონსერვოდ (მარინადად) და ზეთის მისაღებად.

**სოხუმური.** წარმოშობა უცნობია. გვხვდება სოხუმსა და ახალ ათონში. ხე საშუალო სიმაღლის. ივითარებს სუსტად შეფოთლილ, გადაშლილ ვარჯს, ხასიათდება საშუალო მსხმოიარობით. ყვავილობს მაისის ბოლოს. თვით-ფერტილია. ფოთოლი ტიპური ლანცეტისებრია. ნაყოფი ვერცხისებრი, საშუალო სიდიდის, მასა 2-4 გ. ნაყოფის კანი შავია და დაფარულია თეთრი წინწკლებით. ნაყოფის ზეთიანობა 60-65%. მწიფდება ნოემბერში ან დეკემბრის პირველ რიცხვებში. ძირითადად, გამოიყენება საკონსერვოდ.

**თოლგომური.** წარმოშობილია კავკასიაში. სახელწოდება მიიღო ართვინის ოლქის სოფ. თოლგომიდან. უმეტესად გვხვდება ახალ ათონში. ხე საშუალო სიმაღლისაა, ივითარებს გადაშლილ, დატოტვილ თხელ ვარჯს. ახასიათებს საშუალო, რეგულარული მსხმოიარობა. მავნებელ-დაავადებების მიმართ ნაკლებგამძლეა.



მეწლეობს. ყვავილობს მაისის ბოლოს. მაღალი მოსავლის მისაღებად მოითხოვს დამამტვერიაწებელს. ნაყოფი დიდი, მასით 5-7 გ. მომრგვალო-შებრუნებული კვერცხისებრი, ასიმეტრიული. მწიფე ნაყოფის კანი ნაზია, შავი ცვილისფერი, ფიფქით დაფარული. კურკა დიდი ზომის. ზეთიანობა 70%. ნაყოფი მწიფდება ნოემბრის დასაწყისში. მწიფე ნაყოფი ადვილად ცვივა. ნაყოფი ვარგისია როგორც საკონსერვოდ, ასევე ზეთის მისაღებად.

ოთური. წარმოშობა უცნობია. გვხვდება ახალ ათონში, სოხუმის, თერჯოლისა და ბაღდადის რაიონებში. ხე ხასიათდება სწრაფი ზრდით, ჩვეულებრივ, საშუალო სიმაღლისაა, ივითარებს ლამაზ, გაშლილ, ძლიერად დატოტილ, ხშირად შეფოთლილ ვარჯს. მსხმოიარობა უხვი. ახასიათებს მეწლეობა. ახასიათებს გვალვა და ყინვაგამძლეობა. ყვავილობს მაისის ბოლოს. თვითფერტილია. ჯვარედინი განაყოფიერების შემთხვევაში მოსავლიანობა საგრძობლად იზრდება ნაყოფი მსხვილი – 9-14 გ. ოვალური, სიმეტრიული, სანაყოფე ტოტებზე განლაგებულია ერთეულად. ნაყოფის კანი ნაზი, სიმწიფეში



სასუქებით ნიადაგის განოყიერება, რაც აუმჯობესებს ნიადაგის ნაყოფიერებასა და სტრუქტურას. ფერდობებზე გაშენების შემთხვევაში უნდა მოეწყოს 3-4 მ სიგანის ტერასები.



დარგვა შეიძლება გვიან შემოდგომიდან მთელი ზამთრის განმავლობაში, თუ ჰაერის საშუალო ტემპერატურა არ არის უარყოფითი. დასარგავი ორმო ამოღებულ უნდა იქნეს ბაღის გაშენებამდე რამდენიმე დღით ადრე. ორმოს სიდიდე 50X50 სმ. ნიადაგური ჰორიზონტისა და ჯიშის ზრდის სიძლიერის გათვალისწინებით, ზეთისხილის ბაღის გაშენების გავრცელებული სქემებია: 6მX8მ, 8მX8მ, 8მX10მ, 10მX10მ, 12მX12მ.



სტანდარტულია ნერგი, რომლის სიმაღლე 1-2 მეტრია, სიმსხო ფესვის ყელთან 2-2,5 სმ და აქვს ვარჯი ფესვთა სისტემა. დარგვის შემდეგ ნერგი უნდა დამაგრდეს სარზე და მოიწიყას. თუ დასარგავი ნერგები მოთავსებულია პოლიეთილენის პარკში, მაშინ დარგვამდე ნერგს უნდა შემოეცალოს პარკი და მიწის სასუქიანად უნდა მოთავსდეს სარგავ ორმოში.

მოშავო-ლურჯი ფერის. კურკა – პატარა ზომის, ზეთიანობა – 65-68%. მწიფდება ნოემბრის მეორე ნახევარში. ნაყოფი საუკეთესოა როგორც საკონსერვოდ, ისე ზეთის მისაღებად. აგროტექნიკური თავისებურებები

ზეთისხილის ბაღის გაშენებამდე, სხვა კულტურების მსგავსად, მზადდება ნიადაგი. ვაკე და 120-მდე დაქანებულ ფერდობებზე ტარდება პლანტაჟი 45-70 სმ სიღრმეზე. ნიადაგის ანალიზის შესაბამისად, ხდება მინერალური და ორგანული (გადამწვარი ნაველი, კომპოსტი და სხვ.)



განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ტოტების დამოკლებას. თუ ჯიშს აქვს მიდრეკილება ძლიერი დატოტვისა და ჩახშირებისაკენ, ამოიჭრება მხოლოდ ჩახშირებული ტოტები, დატოტვის ნაკლებუნარიან ჯიშებს კი ამოკლებენ 1/3 ან 1/4-ით. ეფექტიანია ასევე ხეების გაახალგაზრდავება.

მსხმოიარე ბაღებისათვის, ნიადაგის ტიპების მიხედვით, რეკომენდებულია 1 ძირზე შეტანილ იქნეს: ნაკელი – 40-60 კგ; აზოტი – 0.6-0.8 კგ; ფოსფორი – 1-1.5 კგ; 0.5-0.8 კგ კალიუმი 0.5-0.8 კგ კირით ღარიბ ნიადაგებში, ნიადაგის რეაქციის გათვალისწინებით.

**შეიძლება გამოიყენოთ მოკირიანება.**

ზამთარში და გაზაფხულზე საკმარისი ნალექების პირობებში მცენარე შეგვიძლია არ მოვრწყათ. თუ ზამთარი და გაზაფხული მშრალია, მოსავლის აღებამდე საჭიროა მოიწიას ორჯერ და მოსავლის აღების შემდეგ ერთხელ.

მავნებლები და დაავადებები დიდ ზიანს აყენებენ ზეთისხილის ნარგაობას, ამცირებენ მის საექსპლოატაციო პერიოდს, აუარესებენ ნაყოფის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ამიტომ აუცილებელია მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული ღონისძიებები

აგროვადების მკაცრი დაცვით.

სარეველების კონტროლისთვის გამოიყენება როგორც მექანიკური გაფხვიერება-გამარველის მეთოდი, ასევე ქიმიურად – ჰერბიციდები. ჰერბიციდები ბაღში შეაქვთ მწკრივებში 80-100 სმ-ის ზოლებად. ბაღში იყენებენ კონტაქტურ და სისტემურ აღმოცენებამდე და აღმოცენების შემდეგ პრეპარატებს. გასათვალისწინებელია, რომ ჰერბიციდი არ მოხვდეს მცენარის მწვანე ნაწილებზე. სარეველების კონტროლისთვის რიგთაშორისებში მიმართავენ დაკორდებას, რომლის რეგულირებასაც ახდენენ ვეგეტაციის პერიოდში ხშირი თიბვით. ასევე საჭიროა სეზონის განმავლობაში რიგთაშორისების მრავალჯერადი კულტივაცია.

ბაღში დამტვერვის აუცილებლობიდან გამომდინარე, ძირითად ჯიშთან ერთად მიზანშეწონილია გავაშენოთ დამამტვერიაანებელი ჯიში. თითოეულ ჯიშს უნდა ჰქონდეს 1-2 დამამტვერიაანებელი ჯიში.

ცხრილში #1, 2 მოცემულია საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვები 1 ჰა ზეთისხილის ბაღის გაშენება-დარგვის და პირველ წელს ჩასატარებელი სამუშაოები.





**ცხრილი #1**

**ბაღის გაშენების და დარგვის საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა (1 ჰა)**

აგროლონისძიება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
ნიბდაგის ანალიზი	ჰა	1	300	300
ნაკვეთის განმეადუ ნარჩენებისგან	ჰა	1	300	300
კლანდაჟი	ჰა	1	250	250
მინერალური სასუქების შეთან	კგ	400	1.25	500
გადახვან ან დადისკვა	ჰა	1	200	200
კულტივაცია, მოსწორება	ჰა	1	120	100
ნაკვეთის დაბეგვბა	ჰა	1	150	150
ორმოს ამოღება	ცალი	500	0.20	100
ნერგის შექმნა	ცალი	500	6.00	3000
დარგვა	ცალი	500	0.20	100
სულ	-	-	-	5000

**ცხრილი #2**

**პირველ წელს ჩასატარებელი სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა (1 ჰა)**

აგროლონისძიება	ღირებულება პროდუქციის და სერვისის (ლარი)
მორწყვა 5-ჯერ	150
აგროტოვანი სასუქების შექმნა და შეთან 2-ჯერ	300
ნაშლობა ინსექტიციდებით და ფუნგიციდებით 5-ჯერ	800
ნიბდაგის გათოხნა 2-ჯერ	500
ჰერბიციდების შექმნა და შეთან 2-ჯერ	350
გათიბვა 5-ჯერ	200
სულ	2300

**მოსავლის აღება**

ნაყოფის კრეფა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნით არის გათვალისწინებული მისი გამოყენება. ზეთის მისაღებად გათვალისწინებული ნაყოფი უნდა მოიკრიფოს სრულ სიმწიფეში, ნოემბერ-დეკემბერში, მწვანედ დასამწიფებლად კი დამწიფებამდე, აგვისტო-სექტემბერში.

ნაყოფის გადამუშავების ორი უმთავრესი წესი არსებობს: დამწიფება-დაკონსერვება და ზეთის გამოწურვა. დამწიფება-დაკონსერვებისას საჭიროა ნაყოფს მოსცილდეს მწკლარტე-მომწარო გემო, რაც ხორციელდება დამწიფე-

ბული ზეთისხილისთვის 3-4-ჯერ მწარე წვენის გამოცვლით. 1,5-2 თვის შემდეგ ნაყოფი სიმწარეს კარგავს და ვარგისია საჭმელად.

ზეთის გამოხდა მხოლოდ მწიფე ნაყოფებისგან შეიძლება. საშუალოდ 4-5 კგ ნაყოფიდან გამოიხდება 1 ლიტრი ზეთი. არსებობს ზეთის გამოხდის სხვადასხვა წესი: ცივი დაწნეხით მიიღება საუკეთესო ხარისხის პროვანსის ზეთი, ხოლო შემდგომი ცხელი დაწნეხით ე. წ. ზეთუნის ზეთი.

ცხრილში #3 მოცემულია 1 ჰა ზეთისხილის სრულმსხმოიანე ბაღიდან მიღებული საორიენტაციო შემოსავალი.

**ცხრილი #3**

**სრულმსხმოიანე ბაღიდან მიღებული საორიენტაციო შემოსავალი (1 ჰა).**

კულტურა	ძირების რაოდენობა (1 ჰა)	მოსავალი 1 ხის (კგ)	მოსავალი (1 ჰა-ზე)	1კგ ნაყოფის ფასი (ლარი)	სულ შემოსავალი (ლარი)
კულტურა	500	25	12500	1,20	15000

